ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „დიდი დიღმის ოაზისი“ , ივანე ცაგურია (599392885)

საფუძველი: 30.09.2013წ. №12/1327317-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი საბურთალო, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ

საკ.კოდი: №01.10.06.001.118

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 27.07.2012წ. №282217 (AR154923); **IV-კლასი**

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური კომპლექსი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (30.09.13) დადგინდა:

„1-16“ ფასადზე: „4-5“ და „11-13“ მონაკვეთებში „±0.00“ ნიშნულზე ვიტრაჟზე დამატებით მოწყობილია ჟალუზები. „1-1“ ღერძიდან მარცხნივ შემცირებულია პანდუსის კედლის სიმაღლე.

„16-1“ ფასადზე: „9-8“ მონაკვეთში ვიტრაჟზე მოწყობილია სარეკლამო პლაკატები. „5-4“ მონაკვეთში ვიტრაჟზე დამატებულია ჟალუზი. „+31.35“ ნიშნულზე ტექნიკური სართულებზე გადახურვის ფილები გამოსულია კედლის კონტურიდან. სახურავზე შემცირებულია სავენტილაციო შახტების სიმაღლე.

„$ა^1$-$ზ^1$“ ფასადზე: „$ა^1$-$ა^1$“ ღერძის მიმდებარედ გაუქმებულია კიბე. „+31.35“ ნიშნულზე ტექნიკურ სართულზე პროექტში არ ფიქსირდება რიგელის და კოლონის ხაზები (ასევეა „ე-ა“ ფასადზე).

ფასადებზე: ნაწილობრივ შეცვლილია კარების, ფანჯრების, ვიტრაჟების ნახატი, მონაცვლებული აქვთ ადგილი და შეცვლილია გაბარიტები, ასევე შეცვლილია ყველა ლითონის მოაჯირის ნახატი. დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენები, გამათბობლის ქვაბები, წყლის გამათბობლები და კონდენციონერები. ფასადები ნაცვლად შელესვისა შესრულებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეფრქვევის სამუშაოები და ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. შემცირებულია ნაწილი სავენტილაციო შახტების სიმაღლე და ნაწილ ვიტრაჟებში დამატებით მოწყობილია კარები.

„±0.00“ ნიშნულზე: „16-16“ ღერძის გარეთ ბაქნის პერიმეტრზე ნაცვლად კაპიტალურისა მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „10-11“ მონაკვეთში კარის წინ დამატებულია ბაქანი. „9-8“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ანტრესოლი 15.00კვ.მ. „13-14“ მონაკვეთში „ბ-გ“ ღერძებს შორის შიდა კიბე გადაადგილებულია.

„+28.05“ და „+31.35“ ნიშნულებზე: ნაწილ სავენტილაციო შახტებს მონაცვლებული აქვთ ადგილი და შეცვლილია გაბარიტები.

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ ემთხვევა საპროექტოს.

ლ. ჯღარკავა